



# ISFED

სამართლიანი არჩევნებისა  
და დემოკრატიის საქართველოს  
საზოგადოება

## 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები

წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეექვსე შუალედური ანგარიში

(7-24 ოქტომბერი, 2013)

24 ოქტომბერი, 2013

თბილისი

ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ და შესაძლოა, არ გამოხატავდეს NDI-ის, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



## I. სიტუაციის ზოგადი მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში „სამართლიანი არჩევნები“ აქტიურად აკვირდებოდა წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას მთელი საქართველოს მასშტაბით.

2013 წლის 7 ოქტომბრიდან 2013 წლის 24 ოქტომბრამდე, „სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატის მიერ 377 საჯარო შეხვედრა გაიმართა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად და ამ მხრივ, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, წინასაარჩევნო კამპანია განსაკუთრებით გააქტიურდა<sup>1</sup>.

დაფიქსირდა პოლიტიკური მოტივით ზეწოლისა და მუქარის ორი ფაქტი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ წყალტუბოს საკრებულოს დეპუტატსა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ მოქალაქეზე.

ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების სამ ფაქტს „ნაციონალური მოძრაობის“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრების, ასევე, „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობის“ აქტივისტის მიმართ.

დაფიქსირდა საარჩევნო პლაკატების განზრახ დაზიანების სამი ფაქტი, კერძოდ, დავით ბაქრაძის პლაკატები ჩამოხიეს ბათუმში, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხესა და ლანჩხუთში.

ადმინისტრაციული რესურსი იქნა გამოყენებული გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრისას ფოთში, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოხელეები სამუშაო საათებში იმყოფებოდნენ. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ასევე, დაფიქსირდა შუახევში, სადაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატის სასარგებლოდ აგიტაცია ბათუმის მაჟორიტარმა დეპუტატმა გასწია.

წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებას არასათანადო ადგილას ადგილი ჰქონდა კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატის მიერ ბათუმსა და ფოთში.

უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ გაგრძელდა საკადრო ცვლილებების განხორციელების მცდელობება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში, კერძოდ, საანგარიშო პერიოდში ქედას საკრებულოს დეპუტატები შეეცადნენ თანამდებობიდან გადააყენებინათ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი“ - ჯემალ შარაძე.

<sup>1</sup> შედარებისთვის აღსანიშნავია, რომ წინა 1 თვის მანძილზე „სამართლიანი არჩევნების“ მიერ 253 საჯარო შეხვედრა დაფიქსირდა.

## II. ძირითადი დასკვნები

- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პოლიტიკური ნიშნით **ზეწოლის** ფაქტი წყალტუბოს საკრებულოს წევრზე, საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარ კაპანაძის მხრიდან<sup>2</sup> რათა საკრებულოს წევრს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაეტოვებინა. **მუქარის** ფაქტი, ასევე, გამოვლინდა სოფელ ბაკურციხის რწმუნებულის აპარატის სპეციალისტის მხრიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერზე<sup>3</sup>.
- პოლიტიკური ნიშნით **ფიზიკურ ანგარიშსწორებას** ადგილი ჰქონდა სამ შემთხვევაში:
  - i. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს მცხეთაში ფიზიკურად გაუსწორდა მოქალაქე იური წოწორია, ხოლო მცხეთის რაიონის გამგებლის მდივანმა - ოლიგო სოლოღაშვილმა მას მანქანიდან გაურკვეველი ნივთი ესროლა;<sup>4</sup>
  - ii. „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ მხარდამჭერს კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ფიზიკურად გაუსწორდნენ ახალციხეში<sup>5</sup>;
  - iii. ფიზიკურ დაპირისპირებას ადგილი ჰქონდა აბაშაში კოალიცია „ქართული ოცნების“ ადგილობრივი შტაბის ხელმძღვანელსა და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს შორის<sup>6</sup>.
- ბათუმში დავით ბაქრაძის საარჩევნო **პლაკატები ჩამოხია** „თავისუფალი საქართველოს“ აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ - მერაბ ლოღობერიძემ, რითაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს ხელი შეეშალა სააგიტაციო მასალების გავრცელებაში.<sup>7</sup> მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხესა<sup>8</sup> და ლანჩხუთში<sup>9</sup>, სადაც დავით ბაქრაძის საარჩევნო პლაკატები კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა ჩამოხიეს.
- გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრას ფოთში ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები სამუშაო საათებში ესწრებოდნენ, გარდა ამისა, აღნიშნული შეხვედრა სასწავლო დღეს, დღის პირველ საათზე სკოლის შენობაში გაიმართა.<sup>10</sup>

<sup>2</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 4.1 თავში

<sup>3</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 4.2 თავში

<sup>4</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 5.1 თავში

<sup>5</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 5.2 თავში

<sup>6</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 5.3 თავში

<sup>7</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 6.1 თავში

<sup>8</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 6.2 თავში

<sup>9</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 6.3 თავში

<sup>10</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 7.1 თავში

- შუახევში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებაზე - „ფოლკლორის დღე - შუახევი 2013“, ბათუმის მაჟორიტარმა დეპუტატმა - მურმან დუმბაძემ მოსახლეობას საპრეზიდენტო არჩევნებზე მისვლა და გიორგი მარგველაშვილის მხარდაჭერა მოუწოდა<sup>11</sup>.
- კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია ბათუმში სააგიტაციო კარვების გაშლის შესაბამისი ნებართვის გარეშე მიმდინარეობდა და მხოლოდ მოგვიანებით მოხდა მერიისთვის აღნიშნული ნებართვის მისაღებად მიმართვა.<sup>12</sup>
- მიუხედავად არაერთი რეკომენდაციისა, ადგილობრივ თვითმმართველობებში ისევ გრძელდება **საკადრო ცვლილებების მცდელობები**. საანგარიშო პერიოდში, ქედას მუნიციპალიტეტში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების მცდელობას ჰქონდა ადგილი.<sup>13</sup> რამდენიმე დეპუტატის მიერ ჩატარებული რიგგარეშე სხდომა სხვადასხვა საპროცესო წესების დარღვევით წარიმართა, შესაბამისად 10 დეპუტატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საკრებულოს აპარატმა არ დაარეგისტრირა.

### III რეკომენდაციები

**საჯარო მოხელეებს** - თავი შეიკავონ მათდამი დაქვემდებარებული თუ სხვა ნებისმიერი პირის მიმართ პოლიტიკური ნიშნით ზეწოლისაგან;

**სამართალდამცავ ორგანოებს** - მაქსიმალურად სწრაფად და ობიექტურად გამოიძიონ პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები და სასამართლოს წინაშე კანონის შესაბამისად დააყენონ დამნაშავეთა სათანადო პასუხისმგებლობის საკითხი;

**პოლიტიკურ პარტიებს** - არ დაუშვან მათი წევრებისა თუ აქტივისტების მიერ პოლიტიკური ოპონენტების საარჩევნო კამპანიის წარმოებაში ხელის შეშლა და მკაცრი რეაგირება მოახდინონ ამგვარ ფაქტებზე;

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს** - არ დაუშვან საჯარო სკოლების შენობების წინასაარჩევნო აგიტაციისთვის გამოყენება;

**პოლიტიკური თანამდებობის პირებს** - სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებებზე არ დაუშვან რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ აგიტაციის გაწევა;

<sup>11</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 7.2 თავში

<sup>12</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის VIII თავში

<sup>13</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის IX თავში

**ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებს** - კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ, თავი შეიკავონ წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებებისაგან;

**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს** - თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინონ რეაგირება საარჩევნო პლაკატების უკანონოდ ჩამოხსნასა და ჩამოხვევასთან დაკავშირებით და დამნაშავე პირებს დააკისრონ კანონით განსაზღვრული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

#### **IV პოლიტიკური მოტივით ზეწოლა-მუქარა**

##### **4.1 ზეწოლა საკრებულოს წევრზე წყალტუბოში**

წყალტუბოს საკრებულოს წევრის - ხათუნა წერეთლის ინფორმაციით, მასზე მიმდინარეობს ზეწოლა საკრებულოს თავჯდომარის - ნოდარ კაპანაძის მხრიდან. მისი განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვება საკრებულოს თავჯდომარემ რამდენჯერმე მოსთხოვა, რაზეც მან უარი განაცხადა.

ხათუნა წერეთელი საკრებულოს თავმჯდომარეს, ასევე, ადანაშაულებს მისი შვილის - საჩხეურას ტერიტორიულ ორგანოს სპეციალისტის, პოზიციიდან გათავისუფლებაში.

„სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორთან საუბარში ნოდარ კაპანაძე აღნიშნულ ბრალდებებს უარყოფს და ხათუნა წერეთლის ოჯახის წევრის სამსახურიდან გათავისუფლების პროცესში მისი უშუალო მონაწილეობის ფაქტს არ ადასტურებს.

##### **4.2 მუქარა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერზე გურჯაანის რაიონში**

სოფელ ბაკურციხეში მცხოვრებ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ მაყვალა ბეჟაშვილზე ბაკურციხის სოფლის რწმუნებულის აპარატის სპეციალისტის - მარიამ მიჩიტაშვილის მხრიდან მუქარა განხორციელდა.

მაყვალა ბეჟაშვილის თქმით, 19 ოქტომბერს იგი გურჯაანის კულტურის სახლში დავით ბაქრაძესთან გამართულ შეხვედრას დაესწრო, რასთან დაკავშირებითაც მას 21 ოქტომბერს მარიამ მიჩიტაშვილმა აგრესიული ტონით მოსთხოვა პასუხი და დაემუქრა, რომ მის ოჯახს სოციალური დახმარება მოეხსნებოდა.

„სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორთან საუბარში მარიამ მიჩიტაშვილი მუქარის ფაქტს უარყოფს და აცხადებს, რომ მან მხოლოდ ურჩია მაყვალა ბეჟაშვილს, თავი დაენებებინა „ნაციონალებთან“ თანამშრომლობისთვის.

## V პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორება

### **5.1 ფიზიკური ანგარიშსწორება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრზე მცხეთაში**

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის - ცირა ჯავახიშვილს განცხადებით, მის მიერ 16 ოქტომბერს მცხეთაში, სამხედრო ქუჩაზე გაკრული დავით ბაქრაძის წინასაარჩევნო პლაკატები 18 ოქტომბერს ჩამოხეული დახვდა და მის ადგილზე გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო პლაკატები იქნა გაკრული. როგორც ცირა ჯავახიშვილმა „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორს აცნობა, ის პლაკატების ხელახლა გაკვრას შეეცადა, თუმცა, ამ დროს მას მანქანიდან მცხეთის რაიონის გამგებლის მდივანმა - ოლიგო სოლოლაშვილმა გაურკვეველი საგანი ესროლა. მისივე თქმით, პლაკატების გაკვრის პროცესში მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მოქალაქე - იური წოწორიამ. ჯავახიშვილის განცხადებით, მას აღნიშნული ფაქტის შემდეგ ტელეფონით დაუკავშირდა სოფ. ქსოვრისის რწმუნებული - თემურ მორბედაძე და მოსთხოვა პლაკატების გაკვრის შეწყვეტა.

როგორც „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორისთვის გახდა ცნობილი, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაზარალებულმა განცხადება მცხეთის პოლიციის სამმართველოში შეიტანა.

### **5.2 ფიზიკური ანგარიშსწორება „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ აქტივისტზე ახალციხეში**

14 ოქტომბერს „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ აქტივისტის - ვახტანგ კოშაძის განცხადებით, მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა - სოსო მარტინენკომ და ირაკლი მუმლაძემ. როგორც „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორს ვახტანგ კოშაძის ოჯახის წევრებმა განუცხადეს, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

### **5.3 ფიზიკური ანგარიშსწორება კოალიცია „ქართული ოცნების“ შტაბის ხელმძღვანელზე აბაშაში**

21 ოქტომბერს კოალიცია "ქართული ოცნების" შტაბის ხელმძღვანელი - გიორგი გვილავა და აბაშის მაჟორიტარი დეპუტატი, "ნაციონალური მოძრაობის" წევრი - დავით დარცმელიძე

ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. გვიღავას განცხადებით, ის საკუთარ ჭიშკართან იმყოფებოდა, როდესაც დარცმელიძემ, თანმხლებ პირებთან ერთად, მას ჯერ სიტყვიერი, შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. როგორც „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორს თვითმხილველებმა აცნობეს, აბაშის მაჟორიტარი დეპუტატი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა და განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა. გიორგი გვიღავამ უკვე მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს და როგორც განაცხადა, საქმეზე დაწყებულია გამოძიება.

## VI წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაში ხელის შეშლა

### 6.1 სააგიტაციო მასალის დაზიანება ბათუმში

7 ოქტომბერს ბათუმის ცენტრში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატის - დავით ბაქრაძის საარჩევნო პლაკატები ჩამოხიეს, ნაწილი კი სხვადასხვა წარწერებით გააფორმეს.

მომხდარში ბათუმის მერიის ავტოტრანსპორტის თანამშრომელი და ასევე, პარტია "თავისუფალი საქართველოს" აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე - მერაბ ლოლობერიძე მონაწილეობდა. აღნიშნული ფაქტი მერაბ ლოლობერიძემ თავადაც დაადასტურა სატელევიზიო ინტერვიუში<sup>14</sup>. მისი თქმით, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ მსგავს ქმედებებს აჭარის მასშტაბით მომავალში კიდევ განახორციელებს და დავით ბაქრაძის მხარდამჭერ პლაკატებს ჩამოხევეს.

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად *„წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვთ, დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და სხვა. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა.“*

ამავე კოდექსის 80-ე მუხლის თანახმად, *„წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო და სხვა მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.“*

საარჩევნო პლაკატების უკანონოდ ჩამოხსნის, ჩამოხევის, დაფარვის ან დაზიანების შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

<sup>14</sup> ინტერვიუ იხ. შემდეგ ბმულზე: <http://www.ajaratv.ge/ge/index.php?page=shownews&id=51629>

როგორც „სამართლიანი არჩევნებისთვის“ გახდა ცნობილი, მერაბ ლოლობერიძეს 8 ოქტომბერს საარჩევნო კოდექსის 80-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა - 1000 ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.

## **6.2 სააგიტაციო მასალის დაზიანება გურჯაანის რაიონში**

21 ოქტომბერს სოფელ ბაკურციხეში “ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორის - ნინო გელაშვილის განცხადებით, ბაკურციხის მცხოვრებმა, კოალიცია “ქართული ოცნების“ აქტივისტმა - ნოდარ სამადაშვილმა, ორ დაუდგენელ პირთან ერთად დავით ბაქრაძის პლაკატები ჩამოხია. ამ ფაქტის გამო მოხდა სიტყვიერი დაპირისპირება ნინო გელაშვილსა და ნოდარ სამადაშვილს შორის, რაც „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორს თვითმხილველმაც დაუდასტურა.

## **6.3 სააგიტაციო მასალების დაზიანება ლანჩხუთი**

21 ოქტომბერს, ლანჩხუთის ცენტრში მდებარე ყოფილი სასტუმროს შენობის პირველ სართულზე გაკრულ დავით ბაქრაძის პლაკატებს კოალიცია “ქართული ოცნების” აქტივისტებმა - ნუგზარ ცინცაძემ და გიორგი ზენაიშვილმა გიორგი მარგველაშვილის პლაკატები გადააკრეს. ამ ფაქტს კოალიციის წარმომადგენლებსა და “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” საარჩევნო შტაბის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს - კახა ასკურავას შორის დაპირისპირება და შეხლა-შემოხლა მოჰყვა.

## **VII ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება**

### **7.1 გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრა ფოთში**

კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის - გიორგი მარგველაშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრა 7 ოქტომბერს ქ. ფოთის მეორე საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში გაიმართა. „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორის დაკვირვებით, წინასაარჩევნო კამპანიაში სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების გარდა მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები - ქ. ფოთის მერის თანაშემწე - ოთარ ხარჩილავა, ასევე, ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი სამსახურის ორგანოების სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები. საქართველოს



ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველოს ორგანოების საჯარო მოხელეებს-სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.

გარდა ამისა, შეხვედრა გაიმართა ორშაბათ დღეს საჯარო სკოლის შენობაში დღის პირველ საათზე. „სამართლიანი არჩევნები“ დაუშვებლად მიიჩნევს საჯარო სკოლების შენობების წინასაარჩევნო შეხვედრებისთვის გამოყენებას, მითუმეტეს სასწავლო დღეების განმავლობაში.

## **7.2 აგიტაცია გიორგი მარგველაშვილის სასარგებლოდ შუახევში მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულ ღონისძიებაზე**

22 ოქტომბერს შუახევის რაიონულ ცენტრში სახალხო დღესასწაული - „ფოლკლორის დღე - შუახევი 2013“ გაიმართა. ღონისძიება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ იყო ორგანიზებული და შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსდა. ღონისძიებას აჭარის მთავრობის წარმომადგენლები, პარტია „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი - არმაზ ახვლედიანი, ასევე, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი - მურმან დუმბაძე ესწრებოდნენ.

მურმან დუმბაძე ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა და მოსახლეობას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა და გიორგი მარგველაშვილის მხარდაჭერა მოუწოდა.

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის თანახმად *„აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა. აღნიშნული ქმედება ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად“.*

## **VIII წინასაარჩევნო კამპანია არასათანადო ადგილას**

### **კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია ბათუმში**

15 ოქტომბერს, ქალაქ ბათუმის რამდენიმე უბანში, დაფიქსირდა კოალიცია "ქართული ოცნების" კარავი საარჩევნო სიმბოლიკით, სადაც სააგიტაციო მასალის დარიგება ხდებოდა. როგორც მერიის აპარატში განაცხადეს, ნებისმიერი სახის კარვის განთავსება სპეციალურ ნებართვას საჭიროებს, თუმცა აღნიშნული კარვებისთვის მერიის მხრიდან ნებართვა გაცემული არ ყოფილა, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნებისგან" მოგვიანებით შესული მოთხოვნა კარვების განთავსებაზე მერიამ დააკმაყოფილა.

## IX საკადრო ცვლილების მცდელობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში

**ქედა** - 15 ოქტომბერს გაიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილებოდა “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრის - ჯემალ შარაძის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისა და ასევე საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის პოზიციიდან გადაყენების საკითხი. აღნიშნულ საკითხს ბიურომ მხარი არ დაუჭირა, მაგრამ 18 ოქტომბერს საკრებულოს ათმა დეპუტატმა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა ჩაატარა. საკრებულოს აპარატიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სხდომის შესახებ არ იყვნენ ინფორმირებულნი საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და საკრებულოს აპარატი. რიგგარეშე სხდომას უძღვებოდა საკრებულოს წევრი - შოთა სამნიძე. სხდომაზე დამსწრე დეპუტატებმა ჯემალ შარაძის გათავისუფლების შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება, თუმცა, საკრებულოს აპარატმა, პროცედურული დარღვევების გამო აღნიშნული სხდომის ოქმი რეგისტრაციაში არ გაატარა, შესაბამისად არ მოხდა ჯემალ შარაძის თანამდებობიდან გათავისუფლება.

## X საჯარო შეხვედრები

„სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში 2013 წლის 7 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში პოლიტიკური პარტიებისა და მათი საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ 377 წინასაარჩევნო საჯარო შეხვედრა გაიმართა.

კოალიცია “ქართულმა ოცნებამ” „სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით, წინასაარჩევნო პერიოდში 199 საჯარო შეხვედრა გამართა. მთავარი დაპირებები ეკონომიკის გაძლიერებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, პენსიებისა და პედაგოგთა ხელფასების ზრდას, ასევე რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ეხებოდა.

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ მიერ „სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით 76 შეხვედრა გაიმართა. მთავარი დაპირებები კონფლიქტების დარეგულირებას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოგვარებას, ქვეყნის გაერთიანებასა და სამართლიანობის აღდგენას ეხებოდა.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებით, სულ 85 საჯარო შეხვედრა გამართა. კანდიდატი მოსახლეობას დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტების

დასრულებას, ეკონომიკის გაძლიერებას, მრავალპარტიულ მმართველობას, მთავრობის ეფექტურ კონტროლს და საქართველოს ევრო-ატლანტიკური კურსის გაგრძელებას დაპირდა.

**„ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“** „სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით 7 საჯარო შეხვედრა ჩაატარა, სადაც კანდიდატმა ძირითადად შემდეგი დაპირებები გააკეთა: მცირე საწარმოებისა და მცირე ჰიდროელექტრო სადგურების აშენება, დაბალპროცენტიანი საბანკო სესხების გაცემა მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის, ერთსქესიანი ქორწინების აკრძალვა, ქვეყნის ეკონომიკურ და ტერიტორიულ პრობლემების მოგვარება.

**„ლეიბორისტულმა პარტიამ“**, ჩვენი დაკვირვებით, წინასაარჩევნო პერიოდში 9 შეხვედრა გამართა ამომრჩეველთან, სადაც კანდიდატი ძირითადად შემდეგ საკითხებს შეეხო: უფასო განათლება, უფასო ჯანდაცვა, გადასახადების შემცირება, სალარო აპარატების გაუქმება, უცხოელ მოქალაქეებზე მიწების გასხვისების შეზღუდვა, რუსეთთან უვიზო რეჟიმის შემოღება და რუსეთის ბაზარზე ქართული პროდიქციის დაბრუნება, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარება.

თითო შეხვედრა გამართეს **„კობა დავითაშვილი – ხალხის პარტიამ“**, **ნესტან კირთაძემ** და **„საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირმა“**.

## XI მისიის შესახებ

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრაცია გაიარა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი ორგანიზაციამ 2013 წლის 1 ივლისს დაიწყო. „სამართლიანი არჩევნები“ დაკვირვებას საქართველოს ყველა საარჩევნო ოლქში 73 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით ახორციელებს, რომლებმაც სათანადო მომზადება და ტრენინგი მონიტორინგის დაწყებამდე გაიარეს. გრძელვადიანი დამკვირვებლები თავიანთი საქმიანობისას ხელმძღვანელობენ სადამკვირვებლო ორგანიზაციებისათვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით<sup>15</sup>, რაც პირველ რიგში პროცესის სრულყოფილად, ობიექტურად, გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად დაკვირვებას გულისხმობს. ორგანიზაცია აკვირდება ყველა იმ პროცესს, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს საარჩევნო გარემოზე, მათ შორის, დაკვირვება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგი, რაც ძირითადად გულისხმობს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესსა და საქმიანობაზე დაკვირვებას;
- პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების მიერ გამართული საჯარო შეხვედრებისა და სხვა პოლიტიკური საქმიანობის დაკვირვება, აგრეთვე მათ მიერ ამომრჩევლისათვის მიცემული დაპირებების მონიტორინგი;
- ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტების გამოვლენა და შესწავლა;
- პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა/მუქარის, პოლიტიკური საქმიანობისათვის ხელის შეშლისა და ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევების გამოვლენა და სათანადო რეაგირება.

---

<sup>15</sup> „სამართლიანი არჩევნები“ დაკვირვების პროცესში ხელმძღვანელობს საერთაშორისო დეკლარაციით „არაპარტიული საარჩევნო დაკვირვებისა და სამოქალაქო მონიტორინგის გლობალური პრინციპების შესახებ“, დეკლარაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: <http://www.gndem.org/declaration-of-global-principles>; ხოლო შეფასებების დროს ეყრდნობა და იზიარებს ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის პრინციპებსა და სულისკვეთებას